# მებრძოლი გუშაგი — Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 14 ივლისი, 1990 წელი ● № 29 (2906) ● СУББОТА, 14 ИЮЛЯ 1990 г.


## ოფიციალური ინფორმაცია

კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობას განაგრძობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობა. 10 ივლისს გამართულ სხდომაზე, არჩევნებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად არჩეულია მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი.

11 ივლისს ყრილობაზე სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოადგილის თანამდებობაზე დასახელებული კანდიდატურები. ფარული კენჭისყრის სიაში შეტანილი იყვნენ ა. ს. დუდიროვი, ვ. ა. ივაშკო, ი. კ. ლიგაჩოვი. ამ საკითხზე კენჭისყრა გაიმართა სალამოს სხდომაზე, რომელსაც ა. ი. ლუკიანოვი უძღვებოდა.

## НА ОПЕРАТИВНОМ СОВЕЩАНИИ РУКОВОДЯЩЕГО СОСТАВА МВД ГССР

**2 ИЮЛЯ** состоялось оперативное совещание руководящего состава МВД ГССР, которое провел министр внутренних дел республики генерал-лейтенант внутренней службы Ш. Горгодзе.

С информацией о состоянии оперативной обстановки в республике за июнь нынешнего года на совещании выступил начальник оргинспекторского отдела министерства полковник милиции К. Буджиашвили. В соответствии с принятыми на совещании решениями поручено:

— руководству УООП (начальник — полковник внутренней службы Г. Бичашвили) осуществить проверку готовности ГОРОВД республики к обеспечению охраны порядка в условиях летне-курортного сезона;

— руководству ГАИ (полковник милиции Г. Цинцадзе) усилить контроль за работой подразделений автоинспекции по выявлению автотранспортных средств без государственных номеров и с затемненностью стекол, превышающей допустимые нормативы;

— заместителю министра внутренних дел республики подполковнику внутренней службы Ю. Ермолаеву и начальнику УВД Тбилгорисполкома полковнику милиции Р. Тушурашвили рассмотреть вопрос об организации начальной подготовки принятых недавно на службу сотрудников подразделений муниципальной милиции и представить по этому вопросу свои предложения;

— заместителю министра т. Ю. Ермолаеву совместно со всеми заинтересованными службами представить свои предложению по созданию в системе министерства отдела по профилактике межнациональных конфликтов;

— руководству УИД с учетом складывающейся сложной обстановки повысить эффективность оперативно-профилактических мероприятий подразделений управления.

— руководству УИД с учетом складывающейся сложной обстановки повысить эффективность оперативно-профилактических мероприятий подразделений управления.

На совещании начальник УУР МВД ГССР полковник милиции Г. Шаламберидзе представил министру и другим руководящим работникам МВД ГССР сотрудников УВД Тбилгорисполкома, отличившихся при задержании двух групп вооруженных преступников. Генерал-лейтенант в/с Ш. Горгодзе дал указание представить всех отличившихся сотрудников к поощрению, поблагодарил их за образцовое выполнение служебного долга и пожелал успехов в работе. •

განვიხილავთ კანონპროექტს

## ფიქრიდან რეალობამდე

**6 ივლისს** მთაწმინდის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების პირადმა შემადგენლობამ განიხილა ამა წლის 16 ივნისს გაზეთ „იზვესტიაში" გამოქვეყნებული კანონპროექტი საბჭოთა მილიციის შესახებ. ამ კანონპროექტის ირგვლივ გაიმართა კამათი; გამოითქვა შენიშვნები, შემოთავაზებულ იქნა ახალი წინადადებები. განხილვის დროს გამოვლინდა ბევრი საჭირბოროტო და აქტუალური პრობლემები, რაც ეხება შს ორგანოების დღევანდელ მუშაობას.

სწორედ ამ კანონპროექტის განხილვამ უნდა მოგვცეს თითოეული რესპუბლიკისათვის საჭირო და აუცილებელი შინაგან საქმეთა სისტემა. მისი სპეციფიკისა და ხასიათის გათვალისწინებით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში უკვე მიმდინარეობს ამ კანონპროექტის განხილვა. დღეს შემოგთავაზებთ მთაწმინდის რაიონის შს რაიგანყოფილების კოლექტივის მიერ გამოთქმულ აზრს კანონპროექტზე. უნდა აღვნიშნო, რომ პირადი შემადგენლობა მომზადებული მოვიდა ახალი კანონპროექტის განსახილველად, კერძოდ მათ წინასწარ დაურიგდათ 1973 წლის 8 ივნისის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს № 385 — დებულება საბჭოთა მილიციის შესახებ და ახალი კანონპროექტი. რამაც შექმნა სიტუაცია ცოცხალი კამათისათვის. მთაწმინდის შს რაიგანყოფილების მილიციის უფროსის მოადგილემ პოლიტდარგში, მილიციის კაპიტანმა გ. მინდიკაურმა გამოთქვა აზრი კანონპროექტის პირველი განყოფილების პირველი მუხლის მეორე აბზაცზე, სადაც ნათქვამია, „მილიციის თანამშრომელი არის ხელშეუხებელი პირი, მის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ღირსებას მკაცრად იცავს კანონი. მილიციის თანამშრომლის მოთხოვნის შესრულება, რომელიც დაკავშირებულია დანაშაულის აღკვეთასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან სავალდებულოა ნებისმიერ მოქალაქისათვის". ჩვენს სინამდვილეში კი სულ სხვაგვარად ხდება ვისაც და სადაც მოესურვება შეურაცხყოფას აყენებს მილიციის თანამშრომელს, როგორც სიტყვიერ

(დასასრული მე-2 გვ-ზე)



**მიმდინარე** წლის 1 ივნისიდან 1 ივლისამდე ქ. ბათუმში მიმდინარეობდა ოპერაცია ეკოლოგიის პრობლემებზე „სუფთა ჰაერი." მასალებს შედეგებზე მოგაწვდით შემდეგ ნომერში.

**სურათზე:** ნ. გიგინეიშვილი, აჭარის ასსრ ბუნების დაცვისა და ეკოლოგიის კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი. ავტოინსპექტორები, მილიციის უფროსი სერჟანტები რ. დავითაძე და ბ. სურმანიძე. საზოგადო ავტოინსპექტორი რ. გორგაძე.

## შეხვედრა სასჯელმოხდილებთან

**უკანასკნელ** პერიოდში დიდი ყურადღება ეთმობა სასჯელმოხდილებთან და სასჯელგადავადებულებთან მუშაობას, მათი სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობებით დაინტერესებას, გარკვეული ნაბიჯებიც გადაიდგა იმისათვის, რომ მათი ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩამდგარიყო. ამ მუშაობას ერთიანი კოორდინაცია სჭირდებოდა და. ინიციატორიც, მთელი ამ ღონისძიების სულისჩამდგმელიც მალე გამოჩნდა. ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის რესპუბლიკური კომიტეტის ქართლის ზონის კორესპონდენტმა, ქალბატონმა მაყვალა ოქროპირიძემ გასწია დიდი და ნაყოფიერი მუშაობა, თავი მოუყარა ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას, სათავეში ჩაუდგა მართლაც, რომ საჭირო საქმეს და შედეგმაც არ დააყოვნა. პირველ რიგში შეიქმნა სასჯელმოხდილთა ქართლის ზონის ასოციაცია, რომელსაც მ. ოქროპირიძე ხელმძღვანელობს. თავისი საქმიანობის არც თუ დიდი ხნის განმავლობაში ასოციაციამ მნიშვნელოვანი ღონისძიებები ჩაატარა. ამით გამოავლინა სასჯელმოხდილებისადმი დიდი სითბო და ყურადღება, ბევრ მათგანს დაუბრუნდა რწმენა ცხოვრებისა, მომავლისა და ეს მაშინ, როცა ეს ესოდენ საჭიროა ახლა, როცა საქართველო თავისუფლების გოლგოთას არის შემდგარი. ეს კეთილშობილური მიზანია და მას ასეთივე კეთილშობილური მიდგომა სჭირდება ყველა ჩვენთაგანის მხრიდან. ამის ნათელ მაგალითს იძლევა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, რომელიც აგერ უკვე წელია, რაც გორში სასჯელმოხდილებთან შეხვედრაზე სიკეთით სავსე მობრძანდება.

გ. ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მ/წლის 5 ივლისს შედგა სასჯელმოხდილთა და სასჯელგადავადებულთა რესპუბლიკური შეხვედრა, რომელიც გახსნა მაყვალა ოქროპირიძემ. გაზეთ „სოფლის ცხოვრების" რედაქტორის ვლადიმერ გოგოლაშვილის, გორელ ფეიქართა სახელით გამოსული მერი ცარციძის, თბილისის სასულიერო აკადემიის რექტორის მამა გიორგის, ჰამლეტ ჩუბინიძის და სხვათა სიტყვებში ისმოდა რწმენა და სულისკვეთებაც ხვალინდელი შემობრუნებისა და მათი, ვისაც დღეს ასე სჭირდება ამგვარი შეხვედრები, სითბო, ყურადღება.

უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მიმართვაც მათდამი, ხომ რწმენას და სიხარულს იტევდა.

სიმბოლური სახე ჰქონდა ახალგაზრდა ბიჭების, ე. წ. ძნელად აღსაზრდელების აღრიცხვიდან მოხსნას, ეს ხომ ნაბიჯია მათი, ერთის შეხედვით გზადაკარგულების შემობრუნებისათვის. ისიც უნდა ითქვას, რომ უკვე მრავალი შემობრუნდა, მრავალმა იწამა მათდამი ზრუნვა, ყურადღება და დაადგა ცხოვრების გზას, რომელიც ხალხის სიკეთისათვის ბრძოლის გზად უნდა იქცეს. შეხვედრამ ასევე დაგვანახა, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამის გაკეთებაა საჭირო, რათა ამ კარგ ინიციატივას გარანტირებული ჰქონდეს საბოლოო დადებითი შედეგები. პრობლემები საკმაოდ არის. მეტი მხარდაჭერაა საჭირო საზოგადოების, წარმოება-დაწესებულებების, ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან, ამის შესახებაც ითქვა ამ შეხვედრაზე, სადაც იყვნენ დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენლები, შს ორგანოების მუშაკები. მიზანი ასეთია, მაქსიმალურად უნდა მივაღწიოთ სასჯელმოხდილებთან მუშაობის ეფექტურობას, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს არც ერთი მომენტი, რომელსაც შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს.

რწმენა, აი რა არის ამ საქმეში მთავარი.

**ნ. დალაქიშვილი**
**შს გორის საქალაქო განყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტდარგში, მილიციის მაიორი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფიქრიდან რეალობამდე

(დასასრული)

ასევე ფიზიკურს. მაგრამ იშვიათად თუ ვინმე დასჯილა. სად ჩანს აქ კანონის მოქმედება.

კამათი გაიმართა კანონპროექტის მე-8 მუხლზე, სადაც ნათქვამია რომ მოქალაქენი ვალდებული არიან ყოველმხრივ აღმოუჩინონ დახმარება მილიციას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში. კანონი კი არაფერს არ ამბობს იმის თაობაზე თუ თავის მხრივ რა პასუხისმგებლობა ეკისრებათ მოქალაქეებს, ამ მოვალეობის არ შესრულების შემთხვევაში? ე. ი. რა ზემოქმედებას იქონიებს კანონი სეირის მაყურებელ მოქალაქეზე. ელემენტარული ჭეშმარიტებაა: თუ მილიცია იცავს მოქალაქეთა და საზოგადოების ინტერესებს ეს უკანასკნელნიც მოვალენი არიან დაიცვან მათი უფლებები.

განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება იმაზე, რომ შინაგან საქმეთა სამსახური და საერთოდ მილიცია არ უნდა იყოს არცერთი პარტიის დაქვემდებარების ქვეშ, ის მხოლოდ ხალხისა და კანონის დამცველი უნდა იყოს. ამდენად დასაგმობია ის ფაქტი რომ დღეს სამართალდამცავ ორგანოთა საქმიანობაში ცხვირს ყოფს პარტიული თუ საბჭოთა ორგანოების წარმომადგენლები. აძლევენ მითითებებს და ზოგჯერ უხეშადაც ერევიან საგამომძიებლო საქმიანობაშიც. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ახალ კანონპროექტში ამ აზრმა უნდა ჰპოვოს ხორცშესხმა.

საუბარი იყო პირადი შემადგენლობის თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობის არ არსებობის შესახებ, ამასთან ერთად მათი სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე. კანონმა უნდა დააკონკრეტოს ვის და რა შემთხვევაში რა შეღავათი თუ პრივილეგიები შეიძლება მიენიჭოს.

კოლექტივმა გამოთქვა სხვა წინადადებებიც იყო აზრთა სხვადასხვაობა, მსჯელობა. და ალბათ სასურველია მათ ვისაც ევალებათ არსებული შენიშვნების გათვალისწინება (ის კი მრავალდაა) მისცენ მას კანონის სახე.

თ. კობახიძე.

ОБСУЖДАЕМ ЗАКОНОПРОЕКТ О СОВЕТСКОЙ МИЛИЦИИ

## Четче определить права и обязанности

**Одним из важнейших направлений процесса обновления советского общества является формирование правового государства. В этих условиях особую значимость приобретает работа правоохранительных органов, которые должны строить свою деятельность строго на основе четко разработанных законодательных актов.**

**НЕ СЕКРЕТ**, что в последнее время оперативная обстановка, как в нашей республике, так и в целом по стране обострилась — отмечается резкий рост преступности, то там, то здесь вспыхивают конфликты на межнациональной почве, происходят массовые беспорядки, что создает дополнительную напряженность в обществе. Негативную роль играет здесь и определенное снижение авторитета милиции, которая критикуется то за принятие решительных мер, то за их отсутствие. Не случайно поэтому с таким нетерпением ожидали все мы нового закона о милиции.

На днях давно ожидаемый законопроект, наконец, опубликован. Даже при беглом знакомстве с ним можно отметить ряд положительных моментов в определении основных задач, принципов организации и деятельности милиции, гласности в ее работе, другие правовые основы. Но есть и такие положения, которые требуют более четких и понятных формулировок.

Вначале несколько общих замечаний. Отрадно, что в новом законе гораздо лучше, чем в прежнем отражены позиции о правовом положении, правовой и социальной защите работников милиции, в финансовом, материально-техническом и социально-бытовом обеспечении (четвертый раздел ст. 15, 16, 17, 18). В то же время здесь хотелось бы подчеркнуть, что при решении этих вопросов необходимо, думается, дать приоритет оперативным работникам, имеющим ненормированный рабочий день, ведущим борьбу с преступностью на переднем крае, часто с риском для жизни.

В пункте, где говорится о том, что «..в случае гибели работника милиции при исполнении служебных обязанностей или служебного долга, его денежное содержание выплачивается семье погибшего в течение пяти лет со дня гибели» следует, на мой взгляд, записать «..до достижения его детьми совершеннолетия, но не менее пяти лет со дня гибели».

В статье 19 очень правильно отражена ответственность работников милиции, которые при нарушении прав и законных интересов граждан обязаны принять меры к восстановлению этих прав и. по требованию граждан, публично принести извинения. Все это хорошо вписывается в идущий сейчас процесс демократизации, но, думается, в законопроекте должно быть и положение о принесении гражданами извинений милиции, в случае если они допустили в отношении нее необъективные высказывания. Это, кстати, касается и прессы, не всегда адекватно, а порой и просто некомпетентно и тенденциозно оценивающей те или иные действия милиции.

В целом, в законе должны быть более четко определены обязанности граждан в отношении милиции. Только в этом случае ее работа будет по-настоящему эффективной.

Особенно много неясностей в законопроекте, если рассматривать его с точки зрения работников оперативных служб, в частности, уголовного розыска, несущего основную ношу в борьбе с преступностью. Одним из самых острых для нас был и остается вопрос применения специальных средств и оружия. Этой теме посвящен целый раздел (III), но здесь, к сожалению, много неясностей, позволяющих трактовать его положения по-разному. Например, в статье 13 пункт 2 (применение оружия) говорится, что его можно «...применять для отражения группового или вооруженного нападения на работников милиции, а также иного нападения, когда их жизнь подвергается опасности». Но ведь опасность нападения не всегда можно сразу, тем более в экстремальной ситуации, оценить полностью и точно просчитать, создает она угрозу для жизни или нет.

В статье 12 в пункте 4 о применении оружия есть такие слова: «...либо, если имеются достаточные основания полагать, что они могут совершить побег или причинить вред окружающим или себе», что дает много вариантов, как определить эти «достаточные основания», — ведь это дело довольно субъективное и требует более четкой формулировки.

Далее, при определении правил применения оружия в крайнем случае, в конце идет приписка «...применению оружия должно предшествовать предупреждение о намерении его применить». И хотя далее говорится о том, что в каких случаях можно применять оружие без предупреждения, все же остается много неясного. Ведь кроме перечисленных, может возникнуть множество внештатных ситуаций, и, к сожалению, на практике может не представиться возможность предупредить о применении оружия. Как в этом случае будет трактовать закон действия сотрудника.

Также много неясностей в пункте, где говорится о том, что «..запрещается применять оружие, если от этого могут пострадать посторонние лица..., во всех случаях применения и использования оружия работник милиции обязан принять все возможные меры для обеспечения безопасности граждан...» и т. д.

Опять-таки неясно, что значит «все возможные меры». И насколько осуществимо их определение в экстремальной ситуации. Понятно, что надо учитывать безопасность окружающих, но эта формулировка столь расплывчата, что применить оружие без риска нарушить статью возможно разве что в открытом поле. Ну а в условиях города, где как раз и имеются наибольшие проблемы с преступностью, этот пункт, точнее его нечеткость, делает применение оружия практически невозможным.

Надо помнить, что преступник, не связанный рамками правил и морали, при таких ограничениях прав сотрудника милиции получает перед ним большие преимущества. Отсюда и многочисленные потери, зачастую неоправданные, в личном составе. Так, в этом году уже погибли двое наших товарищей — участковый инспектор и сотрудник уголовного розыска, были потери и в прошлом году. Все это должно быть учтено в законе.

И, наконец, последнее соображение. Сейчас работа милиции существенно усложнилась, преступность приобрела организованные формы, расширяют сферы деятельности мафиозные группировки и т. д., и все это создает дополнительные трудности в работе милиции. Поэтому закон должен в первую очередь учитывать новые задачи борьбы с преступностью, больше должен быть ориентирован на защиту общества, граждан от преступных посягательств.

Пока же законопроект страдает существенными слабостями (часть из которых нами отмечена), и вряд ли в подобном виде будет способствовать повышению авторитета милиции, эффективности ее работы. Хочется, чтобы после обсуждения в законе нашли свое отражение, конечно, после соответствующего анализа, замечания и предложения сотрудников милиции, что позволит усовершенствовать не только сам закон, но и всю правоохранительную практику.

**Г. КАЛАНДАДЗЕ,**
**капитан милиции, начальник отдела УУР МВД ГССР.**

ჩვენი გამოსვლის შემდეგ

# ...კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა...

**ჩვენი სარედაქციო ფოსტა არც თუ განებივრებულია მკითხველთა გამოხმაურებით კრიტიკულ წერილებზე, ამდენად ყოველი მათგანის მიღება სასიხარულოა; რამეთუ აქტივი გამოთქვამს აზრს ამა თუ იმ საკითხზე; გვირჩევენ, გვთავაზობენ, თუმცა ზოგან გაუგებარი გულისტკენაა გამოხატული და აშკარად იგრძნობა რომ ნათქვამი ვერ გაგვიგეს ან სხვაგვარად აღიქვეს.**

სწორედ ამ შინაარსის წერილი მივიღეთ ამას წინათ აბაშის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსის მილიციის პოდპოლკოვნიკ ზ. თელიასაგან. გთავაზობთ ამ წერილს:

„**თქვენი** ა/წლის 19 მაისის № 21 გაზეთში მეორე გვერდზე გამოქვეყნებულია სტატია „თუ გვერდით მდგომი არ გიყვარს", სადაც საუბარია იმის შესახებ, რომ აბაშის შს რაიგანყოფილების დაცვის ქვეგანყოფილებაში მისი ყოფილი უფროსის მილიციის კაპიტანი თ. გოგიშვილის საქმისადმი არასერიოზული დამოკიდებულების, პირადი უდისციპლინობის და სხვა მიშვებულობის შედეგად ქვეგანყოფილების საქმიანობაში იყო სერიოზული ხარვეზები. წერილში დეტალურადაა აღწერილი კრების მსვლელობა, მაგრამ არც ერთი სიტყვა პატივცემულ კორესპონდენტს მ. მოსიძეს განყოფილების უფროსის გამოსვლიდან არ უთქვია და ამ სტატიიდან სჩანს, თითქოსდა თ. გოგიშვილი ჩვენ არ გვიყვარდა, ან პატივს არ ვცემდით. თ. გოგიშვილის და მისი ოჯახის მიმართ როგორც მე პირადად, ისე განყოფილების არცერთ წევრს უპატივცემლობა არასოდეს არ გამოგვიხატავს. თ. გოგიშვილი მიუხედავად იმისა, რომ არ იყო პრინციპული და მომთხოვნი ხელმძღვანელი, წავახალისეთ და მას ჩვენი წარდგინებით კაპიტანის წოდება მიენიჭა.

თ. გოგიშვილმა თავისი ხასიათი კრებაზე გამოავლინა, კრებაზე მე თ. გოგიშვილის დადებითიც აღვნიშნე და ის უარყოფითიც, რასაც პატივცემულმა მოსიძემ ასე გაუსვა ხაზი „კარგი თუ ცუდი უნდა გაიტანო". მე მგონი ჩვენ სამხედრო პიროვნებები ვართ და თუ კი ჩვენ თვითონ უდისციპლინო, უტაქტო და უზრდელნი ვართ, მაშინ არ უნდა გვერქვას ხელმძღვანელი. მართალია ხელმძღვანელმა ბევრი უნდა ითმინოს, მაგრამ ამ თმენასაც ხომ აქვს საზღვარი? ჩვენი განყოფილების ყველა მუშაკი დაადასტურებს, რომ თ. გოგიშვილთან ბევრჯერ გვქონია გამაფრთხილებელი აღმზრდელობითი საუბარი, მაგრამ იგი დასკვნებს არ აკეთებდა.

მე უკვე 27 წელია მილიციაში ვმუშაობ. 22 წელი ხელქვეითი ვიყავი, ბევრჯერ წავუხალისებივართ და დავუსჯივართ კიდევაც, მაგრამ ყველაფრისთვის საღი გონების თვალით გადამიხედავს.

კარგი უფროსი და ხელმძღვანელი ის არის, ვინც ახალგაზრდას გაზრდის, ასწავლის მუშაობას, სიძნელეების გადატანას და სიხარულის გამოხატვას.

მ. მოსიძემ სტატიაში ისე გამოიყვანა თითქოსდა მე და თ. გოგიშვილს ერთმანეთის ინტერესები გვქონდა, რაც არასწორია. მე მასთან არასდროს არავითარ საკითხზე კონფლიქტი არ მქონია. თუ გვქონდა დავა კამათი იმაზე: ესა თუ ის საკითხი უკეთესად როგორ გადაგვეწყვიტა.

კრებაზე მსჯელობა იყო თ. გოგიშვილის შესახებ. აქ რა შუაშია „ალბათ უმჯობესი იქნებოდა თქვენი პირადი ინტერესები პირისპირ შეხვედრისას გაანალიზებულიყო და არა აქ კოლექტივის წინაშე." სამწუხაროდ კორესპონდენტი არ გამესაუბრა მე, როგორც კრების დაწყებამდე ისე კრების შემდეგ თ. გოგიშვილის საკითხზე.

ბრალდება იმისა, რომ ჩვენ ერის საქმე ისე ვერ გვიკეთებია, მცდარია, ვინაიდან მე 24 წლის მოვედი მილიციაში სამუშაოდ და 51 წლის კაცმა ნუთუ არ ვიცი დღეს საქართველოს რა უჭირს.

ვიმეორებ, თუ კი სიყვარული არა, მაშ როგორ ვიმუშავე მე სხვასთან და სხვებმაც როგორ იმუშავეს ჩემთან. თუ საშუალება გექნებათ ეს წერილი დაბეჭდეთ გაზეთში, ვინაიდან ამ გაზეთს საქართველოში ყველა კითხულობს. ასე თუ ისე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის აქტივი მიცნობს და სტატია კი სხვაზე მეტყველებს. მე კორესპონდენტს ამით შეურაცხყოფას არ ვაყენებ და თუ კი ცხარედ ვმსჯელობ ესეც საგაზეთო სტატიის ბრალია.

**ავტორისაგან:**

**ბატონო** ზაურ, ვასრულებთ თქვენს თხოვნას ვბეჭდავთ წერილს, რომელსაც ალბათ კომენტარი სჭირდება.

უპირველესად ეს წერილი თავიდან ბოლომდე ეხებოდა თ. გოგიშვილის სამსახურებრივ ისტორიას. მის პიროვნებას, რომელიც ყველანაირად ცდილობდა იმ საგანგებო კრებაზე საკუთარი უცოდველობის დასაბუთებას. არსად სტატიაში არ არის აღნიშნული, თითქოს აბაშის შს რაიგანყოფილების კოლექტივს, ან პირადად თქვენ გძულდათ თ. გოგიშვილი. პირიქით, სტატიაში საუბარია კოლექტივის თანადგომაზე, მეგობრულ დახმარებაზე, რაც თუნდაც ერთ ფრაზაში შეიძლებოდა ამოგვეკითხათ... „ცხრა თვე ითმინა კოლექტივმა არმოსათმენი."

არ ვიცი რატომ მოხდა ისე, რომ ჩვენი ნათქვამი აღიქვა მან, ვისაც ის არ ეხებოდა. ბატონო ზაურ, ყველა თქვენს მიერ მოყვანილი ციტატი, რომელშიც თითქოსდა იგრძნობა თქვენი „შეურაცხყოფა", ეკუთვნოდა თ. გოგიშვილს. ეს სწორედ მას ვუკიჟინებდით. კრებაზე შეურაცხყოფა რომ მოგაყენათ იმის წილ ცუდი იყავით თუ კარგი, მაინც მისთვის უფროსი იყავით გნებავთ თანამდებობრივად და ასაკობრივადაც წერილი აშკარად იცავდა თქვენი და თქვენი განყოფილების პოზიციას, თქვენს თანადგომას, მაგრამ ჩანს მთლად ესეც არ ყოფილა საკმარისი.

რაც შეეხება სიტყვებს: „კარგის და ცუდის გატანას" ისევ გოგიშვილის მისამართითაა ნათქვამი. დამეთანხმებით ალბათ ის პირადი ემოციები, რომელიც მან კრებაზე გამოამჟღავნა არ იყო იმ სიტუაციის შესატყვისი, კიდევ ერთხელ ამით მისი პიროვნების უარყოფით თვისებას გავუსვით ხაზი. თქვენ ისიც გახსოვთ ალბათ ბატონო ზაურ გულნატკენი თ. გოგიშვილი რომ გაიძახოდა;

„...შენ პირადი ინტერესები გამოძრავებდა ჩემს მიმართ, ყოველ წვრილმანში კირკიტებდით" და ა. შ. ამ სიტყვებში კი არანაირად არ იკითხება, რომ თითქოს თქვენ გქონდათ მასთან საკონფლიქტო სიტუაცია, პირიქით თ. გოგიშვილს ჰქონდა ამის პრეტენზია. თანაც არსებობს ელემენტარული ეთიკის ნორმა, რომლის დაცვა განსაკუთრებით მოგვეთხოვება ჟურნალისტებს. ამდენად მიმართვის ფორმას „თქვენ" რომელმაც თურმე ასე ძალიან გაგანაწყენათ („ალბათ უმჯობესი იქნებოდა თქვენი პირადი ინტერესები პირისპირ შეხვედრისას გაანალიზებულიყო...") ვერ შევცვლიდით ფორმით „შენ" მხოლოდ იმისთვის, რომ ადვილი მისახვედრი გამხდარიყო ვის ეხებოდა ეს პერიფრაზი. ხოლო იმის თაობაზე თუ რატომ ვერ გაგესაუბრეთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით? — ჯერ ერთი იმიტომ, რომ კრებას შემთხვევით შევესწარი, ის უკვე 10-15 წთ. დაწყებული იყო, ხოლო მას მერე იმდენად ნათელი იყო ყველაფერი, ფაქტი თვითმხილველის თვალით შევაფასე.

მოდით, ვეცადოთ უკეთ გავუგოთ ბრალია, რომ იტყვიან კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო, იქნებ ვერ იყო ჩვენი ნათქვამი კარგი და მოსაწონი, მაგრამ ერთი რამ უდაოა, რომ ჩვენ სულ სხვა რამ ვთქვით იმ საგაზეთო სტატიაში და სულ სხვაგვარად აღიქვეს....

მოდით, ვეცადოთ უკეთ გავუგოთ ერთმანეთს, მით უფრო, რომ ამ კონკრეტულ სიტუაციაში ამის ყველა საშუალება არსებობს.

პარლამენტის ბიბლიოთეკა

# ЭТИ ОПАСНЫЕ НОЧНЫЕ РЕЙСЫ

## ИЛИ ЕЩЕ РАЗ О ТОМ, ЧТО ДЕЛАТЬ И У КОГО ПРОСИТЬ ПОМОЩИ ВОДИТЕЛЮ ТАКСИ, ЕСЛИ В ЕГО МАШИНУ ПОД ВИДОМ ПАССАЖИРА ПОДСЕЛ ВООРУЖЕННЫЙ ПРЕСТУПНИК

**Немало нареканий, подчас справедливых, вызывает работа городского, в частности, таксомоторного транспорта. Всем, наверное, не раз приходилось, задерживаясь в гостях и по какой-либо другой причине в ночные часы, с нетерпением вглядываться в темноту, ожидая, что вот-вот мелькнет вдали долгожданный зеленый огонек, и сетовать в сердцах на то, что это ожидание зачастую затягивается. И мало кто задумывается в этот момент, что и у водителей, выходящих в ночные рейсы, когда большинство их сограждан спокойно отдыхают в своих домах после трудового дня, есть свои проблемы. Одна из самых сложных из них — угон автомашин, нападение на таксистов с целью грабежа. Об этой проблеме не раз публиковались материалы и на страницах нашей газеты, но как показали недавние события, она пока еще остается столь же острой.**

**НЕДАВНО** в одну из душных июньских ночей в г. Тбилиси на площади Ленина перед горсоветом можно было наблюдать необычно большое для этого времени суток скопление таксомоторов. Их водители не выстраивались в очередь в ожидании пассажиров, не просили повышения зарплаты, не выдвигали, как это стало уже в последнее время привычным, политических программ. Требование было одно — обеспечить безопасность во время работы в ночные часы. Что же послужило конкретной причиной такой крайней формы протеста?

23 июня в шесть утра в Тбилисском легковом таксомоторном предприятии № 1 раздался телефонный звонок. Звонили из дежурной части аэропорта и просили приехать руководителей предприятия. Когда те прибыли на место, их встретили сотрудники Заводского РОВД. Выяснилось, что на территории аэропорта обнаружено принадлежащее ТЛТАП № 1 пустое такси. Салон его был залит кровью, водителя, Джемала Садояна, отца двоих детей, нигде не было видно.

Силами работников предприятия и сотрудников милиции обследовали территорию аэропорта, но следов водителя не нашли. Стало ясно, что разыгралась трагедия. Через несколько дней было обнаружено тело водителя.

Вечером того же дня к этому прибавился и почти аналогичный случай, к счастью, без фатального исхода. В половине одиннадцатого в машину водителя В. Саркисова село четверо пассажиров — трое девушек и парень. Когда остановились в безлюдном месте, сидящий впереди парень потребовал у водителя покинуть машину. Получив, естественно, категорический отказ, он, уже угрожая огнестрельным оружием, заставил водителя выйти из машины. Тот успел вынуть из замка ключи. Незнакомец не найдя ключей, потребовал их у водителя, а так как тот не подчинился, навел на него оружие и нажал спусковой крючок. К счастью, выстрела не последовало, и водитель успел выбить у него из рук оружие. Испуганные преступники бежали, а водитель сел в машину и направился в Заводской РОВД, где и сообщил о случившемся.



Весть об этом стала той каплей, которая переполнила чашу терпения водителей. И они собрались, требуя защитить их от преступных посягательств, угрожая в противном случае забастовкой. Прибывшие на место руководители Тбилисского транспортного объединения постарались успокоить водителей, пообещали им, что данный вопрос будет рассмотрен совместно с представителями органов внутренних дел.

На следующий день в ТЛТАП № 1 состоялась встреча с коллективом предприятия руководителей ТТО, УВД Тбилгорисполкома и Самгорского РОВД, на которой присутствовали директора всех таксомоторных предприятий. Были намечены планы мероприятий, направленные на обеспечение безопасности водителей. А каково сейчас положение в предприятии?

Сейчас обстановка несколько нормализовалась, но напряженность сохраняется, — говорят директор ТЛТАП № 1 З. Бабунашвили и его заместитель И. Долидзе. — В ночное время работать и так трудно, тем более, что зачастую на больших территориях города, особенно в его глухих уголках, в ночное время не встретишь милиционера, а те из них, которым водители сообщают о происшедшем нападении, часто ссылаются на то, что это не их район обслуживания и советуют обратиться по назначению. Водители не чувствуют себя защищенными и, скажем прямо, все труднее становится уговаривать их выходить на работу в ночное время. Мы обращаемся к сотрудникам милиции с просьбой — останавливать во время ночных рейдов не только частные машины, но и такси, это даст возможность водителям при необходимости обращаться за помощью. Нужно также уделить особое внимание районам аэропорта, железнодорожного и автовокзалов.

А каким видится решение проблемы руководящим работникам УВД и транспортного объединения столицы республики. Вот их мнения.

**Г. ШОНИЯ, полковник внутренней службы, начальник ОУР УВД г. Тбилиси.**

— Не могу согласиться с тем, что милиция недостаточно внимания уделяет вопросам обеспечения безопасности водителей, работающих в ночные часы. Каждую ночь, помимо несущих службу на улицах города сотрудников патрульно - постовой службы и госавтоинспекции, управлением выделяются специальные оперативные группы, осуществляющие контроль за всей территорией города, в соответствии с закрепленными за ними участками.

Решительные меры принимаются и для раскрытия уже совершенных преступлений. Так, в нынешнем году против водителей такси было совершено двадцать преступлений, в том числе 10 грабежей, из которых все раскрыты, и 10 разбойных нападений, из которых раскрыто в настоящее время девять. Это очень высокий показатель оперативной работы наших сотрудников, но мы не можем за каждой машиной закрепить оперативного работника.

Нам вполне понятна озабоченность транспортников. Сейчас в управлении разработан специальный план комплексных оперативно-профилактических мероприятий по пресечению подобных преступлений. Предполагается выделить дополнительные группы для работы в ночное время, активнее использовать возможности служб ГАИ, ППС, участковых инспекторов, отделов охраны. Намечен целый комплекс других специальных мероприятий, призванных улучшить положение на данном направлении. Учитывая общую сложную оперативную обстановку, мы рассчитываем и на помощь самих работников городского транспорта — дело-то ведь у нас общее, и решать проблемы надо совместными усилиями.

**Б. ДАРДЖАНИЯ, начальник Тбилисского транспортного объединения.**

— Очень тревожит, что в последнее время не редкими явлениями стали угоны автомашин, оскорбления водителей такси, грабежи, и вот теперь за короткий срок — два убийства. Все это вызывает обоснованное недовольство водителей, требующих принятия решительных мер для обеспечения их безопасности. Конечно, забастовка — не выход из положения и вряд ли будет способствовать улучшению обстановки в городе.

Мы хорошо понимаем трудности в работе милиции, особенно сейчас, когда, в результате идущих в республике общественно-политических процессов, и без того ограниченные силы милиции отвлекаются на выполнение не свойственных ей функций. Поэтому мы готовы со своей стороны оказать милиции всемерную поддержку и уж направили на имя министра внутренних дел республики письмо с нашими конкретными предложениями.

Считаем целесообразным создание в системе УВД столицы республики подразделения в составе 20—25 человек, которое за счет ТТО будет обеспечено фондом заработной платы, транспортными средствами в количестве 10 машин, запчастями к ним и т. д. Помимо обеспечения безопасности водителей и проведения необходимых оперативных мероприятий, это подразделение сможет сыграть большую роль и в нормализации транспортного движения на наиболее оживленных автомагистралях города — на проспекте Давида Агмашенебели, у Центрального колхозного рынка, зданий телевидения, Технического университета и в других местах. Польза от этого будет очевидна.

Очень хорошо, что состоялся деловой, заинтересованный разговор, проблема всесторонне обсуждена, намечены пути ее решения. Надо полагать, что и конкретные действия по претворению в жизнь намеченного не заставят себя ждать.

**Э. ГОГЕЛИЯ,**
**А. ЦАТУРОВ.**

# ნიღბოსნები

**ხულ** ეხლახანს, კიდევ ერთ ბოროტმოქმედთა ჯგუფის თარეშს დაესვა წერტილი. ალიკვეთა კიდევ ერთ გარეწართა საქმიანობა.

თენდებოდა, როცა შინაგან საქმეთა ხონის რაიგანყოფილებაში პასუხისმგებელ მორიგესთან შეტყობინება მოვიდა, რომ სოფელ გეძილეთში ბანდიტური თავდასხმა მოხდა სოფლის მკვიდრზე თ. გიორხელიძეზე. შეტყობინება სასწრაფოდ გადაეცა განყოფილების უფროსს ბინაზე, მილიციის მაიორს მერაბ გერგაიას. სულ რამდენიმე წუთში რაიგანყოფილების უფროსის თავკაცობით შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ განყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტ- კაბაძე, უბნის ინსპექტორი, მილიციის კაპიტანი. ნ. კვიციანი, სსს ქვეგანყოფილების ოპერრწმუნებული, მილიციის მაიორი ს. თედორაძე.

როგორც საქმის ვითარების დროს გაირკვა, თ. გ. გიორხელიძის სახლს ყაჩაღურად თავს დაესხა შენიღბული და ცეცხლსროლელი იარაღებით შეიარაღებული სამკაციანი ბოროტმოქმედთა ჯგუფი. სიკვდილის მუქარის ქვეშ, სახლის პატრონს მოსთხოვეს დიდი ოდენობის თანხა, განძეულობა.

მძარცველებმა გადაატრიალეს მთელი სახლი, ხელჩანთაში ჩაალაგეს „ნადავლი", ფული და მიიმალნენ. წასვლისას დაიბარეს: — „ხმა არსად დასძრა თორემ იცი რაც მოგივაო", ადგილის შემოწმება არა- ერთადერთი რაც მათ დახვდათ შემთხვევის ადგილზე მისვლისას იყო მდუღარე ცრემლები. საჭირო იყო სასწრაფო ზომების მიღება. მ. გერგაიას მეშვეობით შედგენილ იქნა სწორი და გააზრებული გეგმა. დაიწყო ცხელ კვალზე ბოროტმომქმედთა „სამეულის" ძებნა. და მალე, რთულ პირობებში მოხდა ბანდის დაკავება. კვლავ შენიღბულები და შეიარაღებულები ცეცხლმსროლელი იარაღით.

გატაცებული ნივთები და ფული უკლებლივ დაუბრუნდა მის მფლობელს. თ. გიორხელიძესთან შეხვედრის დროს მან განაცხადა, რომ: — „არც კი მჯეროდა, რომ ყველაფერი დამიბრუნდებოდა, მითუმეტეს დროის მოკლე მონაკვეთში, დიდი მადლობა მთელს ჯგუფს, დიდი მადლობა ბატონო მერაბ, თუ არა თქვენ, ვინ იცის რამდენ ატირებულ და აწიოკებულ ოჯახს დასტოვებდნენ ეს პირწავარდნილი ბანდიტები. მადლობა! მეტი რა მეთქმის!"

**ზ. მგალობლიშვილი.**

• • •



**სურათზე: საქმის დამთავრების შემდეგ ოპერატიული ჯგუფის წევრები: განყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი მ. გერგაია, სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსი ოპერრწმუნებული, მილიციის მაიორი ს. თედორაძე, ამავე ქვეგანყოფილების ოპერრწმუნებული, მილიციის უფროსი ლეიტენანტი ტ. გედენიძე და განყოფილების გამომძიებელი, მილიციის კაპიტანი მ. მიშველიანი.**

**ავტორის ფოტო.**

# გასტროლიორის კონცერტი ჩაიშალა

**ამ** რამოდენიმე დღის წინ, თბილისიდან ხარაგაულის რაიონში, სოფელ ლელვაში „საგასტროლო" მოგზაურობით ჩავიდა ჯერ კიდევ არა საკმაოდ ცნობილი და პოპულარული მოღვაწე, 1958 წელს დაბადებული ვინმე კობა ომარის — ძე უზნაძე, მიუპატიჟებელ სტუმარს თავისი ანგარიშით რამოდენიმე არაოფიციალური „წარმოდგენა" უნდა გაემართა სოფლებში, რატომღაც სარბიელად სოფელი ლელვა აირჩია და საქმესაც შეუდგა. თავს ოფიციალური შეხვედრებიდან იკავებდა და თავის ხელოვნებას მარტოხელა ოჯახებისთვის იმეტებდა. არჩევანზე დიდხანს არ უფიქრია და სოფლის მკვიდრს ვეფხვაძეს მიადგა. რატომღაც მიუპატიჟებელ სტუმარს, სახლის პატრონი კარს არ უღებდა, მაგრამ გასტროლიორმა ვეფხვაძის ბინა ძალით გაალო და შესვლისთანავე მიაძახა „ბარიტონის" ხმით, — „აბა ჩქარა, რაც გაქვს ფული და ძვირფასეულობა მაგიდაზე დაალაგეო". როცა პასუხად უარი მიიღო, როლებში შესულმა ვაი გასტროლიორმა ვეფხვაძეების ოჯახიდან გაიტაცა 2500 მანეთი და ხელს ოჯახის ნივთებიც მიაყოლა. ის იყო გამოვიდა ბინიდან, რომ სულ რაღაც 200-300 მეტრში მეორე საკბილოს წააწყდა და მასაც მუქარითა და ლანძღვით ფული სთხოვა. ალვირახსნილობა იქამდე მივიდა, რომ სოფლის ღვაწლმოსილ მასწავლებელ ქალს ნორა ჩხობაძეს მუქარით ბინაში შეუძლვა და აქაც თავისი მანიპულაცია დაატრიალა. აქედან მან 2000 მანეთი ჩაიჯიბა და ცრემლმორეული პედაგოგის ოჯახიდან ქუჩაში გავიდა. ორი საათის შემდეგ ყველაფერი ცნობილი იყო ხარაგაულის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მორიგისათვის და მიუხედავად გვიან ღამისა განყოფილების უფროსის მიერ სასწრაფოდ შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი, დაიწყო გასტროლიორის ძებნა. განყოფილების უფროსმა, რომელმაც ორგანოში 30 წელზე მეტი გაატარა, (დაიწყო რიგითი უბნის რწმუნებულიდან, გაიარა რა რთული პროფესიები სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეგანყოფილებების უფროსის თანამდებობები). კარგად იცოდა საქმის ღრმად წვდომა, ანალიზი და ამ მომენტშიც არ უმტყუნა ალღომ. როდესაც დაუპატიჟებელი სტუმარი მილიციის უფროსის კაბინეტში აღმოჩნდა, რატომღაც „ბარიტონის" ხმა „ტენორად" გადაექცა და მის გასტროლებს წერტილი დაესვა. ნაქურდალი დილით პატრონებს ჩაბარდა და ვაი გასტროლიორის მიმართ კი აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

**ზ. ბიაშვილი.**

# თანადგომა ყოლომდმა საჭირო

**1989 წლის** 24 აგვისტოს გაზეთმა „ლელომ“ გამოაქვეყნა წერილი, ჭაბუკი სპორტსმენის გიორგი რთველიაშვილის ტრაგიკულ ბედზე, რომელმაც 1987 წლის 24 მაისს მიიღო ჰიდაობის დროს მძიმე ტრამვა კისრის მალების მოტეხილობით და დღემდე უძრავად არის მიჯაჭვული საწოლს. მთელმა საზოგადოებამ განიცადა ეს ამბავი, მათ შორის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაწესებულება უი 123/34-ის პირადმა შემადგენლობამ და სპეცკონტიგენტმა.

აღნიშნული წერილის პასუხად დახმარების მიზნით სასწრაფოდ შეგროვდა სპორტული სექციის მიერ 1085 მანეთი. იმ დღიდან მოყოლებული დაწესებულების ადმინისტრაცია უმეთვალყურეოდ არ სტოვებს გიორგი რთველიაშვილს.

გახდა რა ცნობილი ჩვენთვის, რომ მისი განკურნება შესაძლებელია, მხოლოდ საზღვარგარეთ, დაწესებულების პირადმა შემადგენლობამ და სპეცკონტიგენტის გარკვეულმა ნაწილმა გიორგი რთველიაშვილს ამ მიზნით ა/წლის 3 მაისს გაუხსნა ანაბრის წიგნაკი 3000 მანეთის ოდენობით.

მოვუწოდებთ საქართველოს შს პირად შემადგენლობას, რომ განითვისონ გიორგი რთველიაშვილის ტრაგედია და მხარში ამოუდგნენ მას, რამეთუ ქართველ კაცში ჩაკირულ — ჩადუღაბებულია თანადგომა.

ვისაც სურვილი გაქვთ, გთხოვთ გადაუდებლად ჩაურიცხოთ შესაძლებელი თანხა შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი გლდანის რაიონის ბიმსოცბანკი 000164101 ამავე რაიონის შემნახველი ბანკის 8323/0168-ის გიორგი ვასილის ძე რთველიაშვილის ანგარიშზე: № 22587.

გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და აღვნიშნოთ, რომ დაწესებულება უი 123/34-ის პირადმა შემადგენლობამ დახმარება გაუწია ცხრა აპრილის ტრაგედიის მსხვერპლს, დავით ფაილოძეს. დავითს გულთბილი წერილები მისდის მსჯავრდებულთაგან, მათ მის სახელზე გახსნილ ანგარიშზე 5000 მანეთი გადარიცხეს. კიდევ ერთხელ, როგორც იმ ავადმოსაგონარ დღეს, მილოცია თავისი ხალხის, ერის ინტერესების სადარაჯოზეა.

**ზ. ქ. ებრალიძე,**

**კოლექტივის სახელით საქ. შსს დაწესებულება უი 123/34-ის უფროსის მოადგილე, შ/ს მაიორი**

## С ЗАБОТОЙ О ДЕТЯХ

**ЗАКОНЧИЛСЯ** учебный год, много молодых людей готовятся к вступительным экзаменам в высшие учебные заведения, а те, которые еще продолжают учебу, отправляются в пионерские лагеря, дома отдыха и лечебные учреждения. В это время с детьми мы будем вести интересную и познавательную агитмассовую работу по изучению правил пожарной безопасности. В этот же период во всех пионерских лагерях будут проводиться лекции, демонстрироваться диафильмы. Совместными усилиями сотрудников госпожнадзора Сагареджойского РОВД и руководителей лагерей мы постараемся создать молодежи нашей республики все условия для хорошего отдыха.

**Ф. БЕЖИАШВИЛИ,**
**старший лейтенант в/с инспектор госпожнадзора Сагареджойского РОВД.**

**ოთახის** შორეული სიღრმიდან ძლივს აღწევს დახშული მუსიკა. ეს ჩაიკოვსკია. ლუდმილა ილინიჩნას უყვარს ჩაიკოვსკი. მაღალი ფანჯრებიდან ცა მოჩანს. ნაადრევად დაბერებული შემოდგომის სევდა იჰოლება ახალმოსულ მზის გამოხედვაში. „კარგი იქნებოდა, ბუხარი დაგვენთო“. — მხრებზე მოხურულ ლაზლს ისწორებს ქალბატონი ლუდმილა. „ახლავე მოვიტან შეშას“! — ამბობს შინამოსამსახურე. მაგრამ იგი საკუჭნაოს ნაცვლად სადარბაზოს კარისაკენ მიემართება. „ზარს რეკავენ! ამბობს გზადაგზა. — უცხოა ვიღაც!“ ხო, უცხოა, — ასკვნის ქალბატონი ლუდმილაც. — ახლობელთაგან არავინ რეკავს ასე... შინამოსამსახურე გაფრთხილებულია — ერთბაშად არავის გაუღოს კარი. რა იცი... ამიტომ „დიპლომატიური“ ურთიერთობა ჯაჭვჩამოხსნილი გაღებული კარიდან ხდება.

მერე ყველაფერი ისე ხდება, როგორც დეტექტიურ ფილმში. საბჭოთა ზანოში დამწყვდეულ ... უსმის, როგორ დაბუჯარობენ მთელ სახლში მძარცველები. ეძებენ, ალაგებენ... ამსხვრევენ... დროდადრო რომელიმე შემოიხედავს სააბაზანოში. სად არის ყელსაბამი? სად არის ფული? — და ბოლოს, — მადამ გთხოვთ გვიბოძოთ სამალავის გასაღები! (ისევ ცინიზმი, სიყალბე და ვერაგობა!) „რა სამალავისა?“ უკვირს ქალბატონ ლუდმილას. „აა, იმ სამალავისა, სადაც ინახება ფრანგული გულსაბნევი!“ ქალმა თავი გააქნია. არა, მათ არავითარი სამალავი არა აქვთ! მაშ სად ინახავთ საგვარეულო სამკაულებს? — ისევ გაიელვა პისტოლეტის ლულამ. წინააღმდეგობის გაწევა უაზრობა იყო. მძარცველები კარგად იყვნენ ინფორმირებული.

რომან გვენცაძე: სწორედ ამ ფრა-



# ТБИЛИССКАЯ «ИБЕРИЯ» В ПОЛЬШЕ

**ЗАВЕРШИЛИСЬ** игры 1/16 финала розыгрыша национального кубка Грузии по футболу. Успешно выступает тбилисская «Иберия». После победы над командой «Крцаниси», она отправилась в Польскую республику для проведения ряда товарищеских матчей с местными клубами.

**გიორგი სანადირაძე**

# აკრძალული თამაშები.

კარის ეს მონაკვეთიც საკმარისია სტუმრის თვალის შესავლებად. „ეტიკეტი“ ამჯერადაც დაცულია. პარმაღზე სამნი დგანან ელეგანტურად ჩაცმული. სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდები. რა გნებავთ? კითხულობს მოსამსახურე ქალი. „ჩვენ ლიტერატურული მუზეუმიდან ვართ — ხერიოზული ჭკვიანი სახეები. ერთს შავი სმოკინგიც კი აცვია. — ლუდმილა ილინიჩნას ნახვა გვინდოდა!..“ ამ წამიერ შეყოვნებას დიასახლისის შეშფოთება მოსდევს: „ვინ არიან?“ შინამოსამსახურე — ლიტერატურული მუზეუმის თანამშრომლებია, ქალბატონი ლუდმილა — (ყოყმანის შემდეგ) რას იზამ, უნდა მივიღოთ! ახლა თვითონაც მიემართება კარისაკენ. დაიტკაცუნა კედლის საათმა. ეს კარგად ახსოვს. ზუსტად ათია. რა მკვეთრად ისმის მისი ხმა დილის სიჩუმეში. ასეა, მას ეჭვის ნამცეციც არ კენწლავს. ეს ის ჟამია, როცა სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დიდ ინტერესს იჩენენ ალექსი ტოლსტოის სახლისადმი. სახლი ნომერი ორი. აქ გაატარა დიდმა მწერალმა თავისი ცხოვრების ბოლო წლები. ეს სახლი მემორიალურ მუზეუმად უნდა გადაიქცეს! ასეთია ლიტერატურული სამყაროს აზრი. ამიტომ ქალბატონ ლუდმილას სულაც არ უკვირს, ასე ხშირად რომ აწუხებენ. აბა რა უნდა ჰქონდეს საწინააღმდეგო! პირიქით. იგი სულითა და გულით მიესალმება სახელმწიფოს თაოსნობას, ამ შემოდგომისეულ დილას იგი ცოტათი შეუძლოდაა. (გაფრინდნენ წლები!) მაგრამ უცხო ახალგაზრდათა სტუმრობა ერთიანად ცვლის, ღიმილი. მასპინძელის ღიმილი და გულითადი მიპატიჟება: „მობრძანდით“ ახალგაზრდები შემოდიან. მათი ღიმილი. რაღაც უსიამოვნო წინათგრძნობა, რატომ ითრევს ფეხს ის, მესამე? გაისმა შიგნითა სარაზავის ჩხაკუნი. ქალბატონი ლუდმილა ერთბაშად დაიძაბა: „კარი ჩაკეტეს, რაშია საქმე? ნუ ღელავთ. ჩვენ ახლავე ყველაფერში გაგარკვევთ!“ ეს არის ცივი, უკიდურესად ცინიკური ხმა, რომელიც კიდევ უფრო ამძაფრებს შიშს. შიში ასკეცდება პისტოლეტების დანახვაზე. „აქ სადღაც საბაზანო გაქვთ. გთხოვთ, მადამ ჯერჯერობით იქ მოისვენოთ, ვიდრე ჩვენ ჩვენს „ლიტერატურულ საქმეებს“ მოვრჩებით“. ეს უკვე ბრძანებაა. ერთგვარი გაფრთხილებით — წინააღმდეგ შემთხვევაში!...

ნგულმა გულსაბნევმა ჩამოიყვანა ზეცი თბილისში... იგი ვინმე ნიკარაძემ იყიდა ოცდახუთ ათას მანეთად. ცხადია, იცოდა, რომ ნივთი ნაძარცვი იყო! მაინც იყიდა. ჩვენ კიდევ მოვუბრუნდებით ამ ბროშსა და მისი თბილისელი „მფლობელის“ ბედს. მაგრამ ნუ გავუსწრებთ მოვლენებს. მით უმეტეს, რომ ქალბატონი ლუდმილა მილიციის უახლოეს განყოფილებაში აპირებს დარეკვას. თითქმის ორი საათი იბოგინეს მძარცველებმა დიდი მწერლის ბინაში, გადაარჩიეს ძვირფასეულობა, უნიკალური ტილოები უმნიშვნელოვანესი ქაღალდები და გაქრნენ.

რა დახვდათ მოსკოვის სისხლის სამართლის საგამომძიებლო სამმართველოს თანამშრომლებს ტოლსტოის ბინაში? აფორიაქებული, შიშისაგან აცახცახებული ქალები. გადმობრუნებული კარადები. იატაკზე მიმოფანტული ნივთები. სხვა? სხვა არაფერი. არაფერი მაშასადამე, ყველაფერი თავიდანაა დასაწყები. რა საშინელი სიტყვაა ეს „თავიდან“. თითქმის შვიდმილიონიან ქალაქში მოხდა დანაშაული. პირველი ცნობა. წითელი „ჟიგული“. ნომრებზე — გაზეთი. სადარბაზოდან სამი მამაკაცი გამოვიდა. ნიღბები? არა ნიღბები არ ეკეთათ. თუმცა... მოიცათ, მოვიფიქრებ. ვერ მოიფიქრა მეზობლის ქალი შემთხვევით შეესწრო ამ სცენას! უმალ ენიშნა: რაღაც მოხდა! ქურდები? შეიძლება. ვიდრე ეჭვი ჩამოიქნებოდა სრულიად, „ჟიგული“ გაუჩინარდა. სხვა? კიდევ ხომ არ შეგიმჩნევიათ რამე? ნაგვის მანქანამ ჩაიარა: ეს დეტალი უფრო მნიშვნელოვნად მოეჩვენა ხანდაზმულ მანდილოსანს. ჩაცმულობა? არა, არ ახსოვს, ასე იწყება ფაქტების სკრუპულოზური შეგროვება.

მერე, კარგა ხნის მერე ამოტივტივდება ამ ვერაგული გეგმის სულისჩამდგმელის ვინაობა: ლეონიდ სტეპაკი! ძუნწი მონაცემებით: დიდი ხანია აპირებს ჩვენი ქვეყნის დატოვებას. მაგრამ რას შეძლებს უცხოეთში უფულოდ? მაწანწალას ბედი ელის. სტეპაკი კი არხეინ ცხოვრებასაა მიჩვეული. ხელდამშვენებულმა დააპირა გამგზავრება. ასე გაჩნდა იდეა რომელიმე სახლმუზეუმის გაძარცვისა. იგი დიდხანს ეძებდა სასურველ ობიექტს. ლიტერატორები, მსახიობები, მომღერლები, მხატვრები... სწავლობდა სასიგნალო სისტემას, მისასვლელებს, სამალავებს... მისი აზრით ეს იყო იოლი გზა. იოლი და უხიფათო.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მებრძოლი გუშაგი“ №№ 19-28.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

### ПО МАТЕРИАЛАМ ГЛАВНОГО ИНФОРМАЦИОННОГО ЦЕНТРА МВД СССР

# О новых подходах УВД Курганской области к решению оперативно-служебных задач

**РУКОВОДСТВО** УВД Курганского облисполкома использует новые нестандартные подходы, пути и методы решения проблем, существующих в оперативно - служебной деятельности. Широко практикуется общественное мнение участковых инспекторов милиции в трудовых коллективах и по месту жительства населения, инспекторов ГАИ — в автохозяйствах и т. д.

Для повышения качества управленческих решений в УВД создаются рабочие группы для изучения и анализа стоящих задач, выработки рекомендаций по основным направлениям деятельности органов внутренних дел.

В целях закрепления кадров, создания стабильного профессионального ядра, в УВД организовано психофизическое обследование лиц, принимаемых на службу. Разработана памятка, в которой представлены стандартные ситуации, наиболее часто приводящие к нарушениям социалистической законности, и даны рекомендации по их преодолению. Принятые меры позволили укрепить профессиональное ядро, повысить престиж органов милиции, перейти к конкурсному отбору кандидатов на службу в органы внутренних дел. Аппараты УР, БХСС, ООП, следствия комплектуются только выпускниками учебных заведений.

В решении социальных вопросов определены приоритетные направления: обеспечение сотрудников жильем, развитие инициативы органов и изыскание способов дополнительного материального и морального стимулирования работников, формирование хозрасчетных отношений ведомственных предприятий, расширение финансовой и хозяйственной самостоятельности руководителей ГРОВД.

Укрепляются связи органов внутренних дел с населением, трудовыми коллективами. Работа милиции постоянно освещается в средствах массовой информации, руководители органов внутренних дел периодически отчитываются в трудовых коллективах и по месту жительства граждан.

Значительно сокращено число нормативных актов, иных организационно - распорядительных документов, направляемых на места. Целесообразность направления документов на места контролируется оргинспекторами отделов. Без визы ОИО и секретариата документы не тиражируются. Упразднены многочисленные комиссии. В настоящее время функционируют две комиссии и совет по передовому опыту. Мелкие, второстепенные вопросы на контроль не берутся. С целью освобождения сотрудников от непроизводственной бумажной деятельности, предоставления подчиненным органам большей самостоятельности, решен вопрос о передаче в горрайорганы и учреждения внутренних дел части организационно - распорядительных функций и полномочий УВД.

**Подробная информация имеется в УВД Курганского облисполкома.**

ინდექსი 66639

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064, УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.
ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები: 95-66-72; 99-1-41-24.

რედაქტორი ა. კოგალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება, ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. უე 09549